ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 05 თებერვლის მორიგი

სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: აკაკი ლურსმანაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2023 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს:ზურაბი იჩქიტიძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ

მომხს:ზურაბი ბანცაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ

მომხს:ზურაბი ბანცაძე

5.,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 თებერვლის N 11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 იანვრის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: ნანა კიკნაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 05 თებერვლის მორიგი სხდომის

ოქმი N3

2024 წლის 05 თებერვალი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი დავით კიკნაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, ქეთევან ბარბაქაძე, ბაქარი ბარბაქაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგ ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, ირმა ალხაზიშვილი, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 29 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ნანა კიკნაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი,

ზურაბ იჩქიტიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,

ზურაბი ბანცაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი,

აკაკი ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ივანე ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ა. ნიქაბაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

თ. მაღრაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის დავით კიკნაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: აკაკი ლურსმანაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2023 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს:ზურაბი იჩქიტიძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ

მომხს:ზურაბი ბანცაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ

მომხს:ზურაბი ბანცაძე

5.,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 თებერვლის N 11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 იანვრის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: ნანა კიკნაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 29 წევრი.

მომხრე 29

წინააღმდეგი

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსის აკაკი ლურსმანაშვილი ანგარიში სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე და კომისიამ გასცა

რეკომენდაცია საკითხი განიხილოს საკრებულოს სხდომაზე, მან ასევე დასვა წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე,

ო.ლურსმანაშვილმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე და კომისიამ გასცა რეკომენდაცია საკითხი განიხილოს საკრებულოს სხდომაზე,

ო. გაგოშიძემ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის" თავმჯდომარის მოადგილემ, რომელმაც გამოხატა მოსაზრება, რომ სამსახურის რეკომენდაცია არის ბუტაფორია და ანგარიში რომელიც თქვენ წარმოადგინეთ ამ სამსახურის არსებობა ამ ფორმით არ არის გამართლებული.

კ. გოგსაძემ საკრებულოს წევრმა **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან"** მოითხოვა, რომ საკრებულოს სხდომებზე მოწვეული იყოს მუნიციპალიტეტის მერი, რადგან ჩვენ გვაინტერესებს კითხვებზე პასუხები ხალხის მიერ არჩეული მერიდან და არა მერიის სხვა წარმომადგენლისგან.

დ. კიკნაძემ სხდომის თავმჯდომარემ რეპლიკის სახით აღნიშნა, რომ მერს არ აქვს პრობლემა საკრებულოს სხდომაზე მოსვლის და ხალხთან კომუნიკაციის,

თ. ავალიშვილმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამსახურის მიერ გაცემული დასკვნა არის ზედაპირული არც მწვადს წვავს და არც შამფურს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა პ. კიკალიშვილის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 26 წევრი.

მომხრე 21

წინააღმდეგი 3

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ზურა იქიტიძის ანგარიში სამსახურის მიერ 2023 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 26 წევრი.

მომხრე 26

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის ზურაბი ბანცაძე ინფორმაცია საკითხზე „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ" (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის მიღების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 26 წევრი.

მომხრე 26

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის ზურაბი ბანცაძის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ"

აზრი გამოთქვეს:

კ. გოგსაძემ საკრებულოს წევრმა **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან"**რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნულ დადგენილება ის მხარს არ დაუჭერს იმის გამო, რომ მოქალაქეეს უნდა შევთავაზოთ კეთილმოწყობილი სავაჭრო ფართი ,სადაც შეძლებენ მისვლას და პროდუქციის რეალიზაციას

ბაქარი ბარბაქაძემ საკრებულოს ფრაქცია **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის"** თავმჯდომარის მოადგილემ რომელმაც დააყენა წინადადება დაბაში საპარკინგე ტერიტორიის გამოყოფის აუცილებლობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის მიღების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 26 წევრი.

მომხრე 25

წინააღმდეგი1

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნანა კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 იანვრის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის მიღების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 26 წევრი.

მომხრე 26

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი **დავით კიკნაძე**